საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3087
04/07/2022

3087-21-2-202207041148

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2199 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. დამია-გიაურარხში, მდ. დებედას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი/დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მოცემული უნდა იყოს სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ქვეპუნქტის მითითებით;
- დაზუსტებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები;
- მითითებული უნდა იყოს მანძილი საპროექტო უბნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევ უბანზე წყლის საანგარიშო ხარჯის განსაზღვრის ანგარიში;
- დაზუსტებას საჭიროებს თუ რა უზრუნველყოფის წყლის ხარჯზეა დათვლილი საპროექტო ნაგებობა, კერძოდ, საკვლევ უბანზე საანგარიშო დატბორვის დონეები მოცემულია 3% უზრუნველყოფის ხარჯისათვის, ხოლო კალაპოტის წარეცხვის სიღრმეები დათვლილია 1% უზრუნველყოფის ხარჯისათვის;
- ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემული ფორმულები განმარტებული უნდა იყოს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით, ასევე, დატბორვის დონეები მოცემული უნდა იყოს აბსოლუტურ ნიშნულებში (მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ტიპური კვეთი);
- დასაკორექტირებელია კალაპოტის წარეცხვის სიღრმის განმსაზღვრელი ფორმულა;
- მოცულობით უწყისში არ არის მოცემული დროებითი დამბის მოწყობის სამუშაოები და დროებითი დამბის ტიპური კვეთი;
- დოკუმენტში წარმოდგენილი „საქმიანობის მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ პროექტით გათვალისწინებულია 260 მ სიგრძის ქვანაყარი დამბის მოწყობა, მოცულობათა უწყისში აღნიშნულია, რომ მოეწყობა ქვანაყარი ბერმა ხოლო, მშენებლობის წარმოების კალენდარულ გრაფიკში გათვალისწინებულია ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი;

- „საქმიანობის მახასიათებლებში“ მითითებულია, რომ „ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში არ წარმოიქმნება ნარჩენები“, თუმცა, ამავე თავში აღნიშნულია, რომ სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერებში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში არ არის მოცემული ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო